თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება № 6025225

გაცემის თარიღი: 07/07/2022 გაცნობის თარიღი: -

განცხადების ნომერი: AR1908421
შემოსვლის თარიღი: 28/06/2022
შედეგი: **თანხმობა**

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 01.72.14.038.511
- მისამართი: ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ასმათის ქუჩა, N 47
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 800.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): შპს "ნიუ ფემილი 1" (405499205)

ნომენკლატურა :

- **სამართლებრივი საკითხები**
- **ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში**

დამკვეთი - განმცხადებელი:

- გიორგი ქიშმარაია პ/ნ 55001006092
- მისამართი: საქართველო, ხონი, მოსე ხონელის ქ.N 99

ბრძანება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 10 აგვისტოს №5541397 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 23 ივნისს №AR1908421 განცხადებით მომართა გიორგი ქიშმარაიამ და მოითხოვა სამსახურის 2021 წლის 10 აგვისტოს №5541397 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 10 აგვისტოს №5541397 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, ასმათის ქუჩა №47-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.72.14.038.511) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2021 წლის 17 დეკემბრის №5728546 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 17 დეკემბრიდან 2023 წლის 17 ივნისის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.

სამსახურის 2021 წლის 27 დეკემბრის №5742892 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2021 წლის 17 დეკემბრის №5728546 ბრძანებაში და დამკვეთად გიორგი ქიშმარაიას (პ/ნ: 55001006092) ნაცვლად დაფიქსირდა შპს „ნიუ ფემილი 1“ (ს/ნ: 405499205).

წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2021 წლის 10 აგვისტოს №5541397 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას, კერძოდ განმცხადებელს სურს ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ღია ავტოსადგომის ფართობად 151.25 კვ.მ-ის დაფიქსირება.

სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გენ-გეგმა, 0.00 ნიშნულისა და სახურავის გეგმები, ასევე ღია ავტოსადგომების ჯამური მაჩვენებელი შეადარა შეთანხმებულ გენ-გეგმას, 0.00 ნიშნულისა და სახურავის გეგმებს და დაადგინა, რომ გენ-გეგმას, 0.00 ნიშნულისა და სახურავის გეგმებზე დაფიქსირებულია 10 ღია ავტოსადგომი საერთო ფართობით 151.25 კვ.მ. შესაბამისად, სამსახურის 2021 წლის 10 აგვისტოს №5541397 ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე შესაძლებელია დაფიქსირდეს ღია ავტოსადგომის ფართობი - 151.25 კვ.მ. ამასთან, გენ-გეგმა, 0.00 ნიშნულისა და სახურავის გეგმები არ იცვლება, ხდება მხოლოდ გენ-გეგმასა, 0.00 ნიშნულისა და სახურავის გეგმებზე ღია ავტოსადგომების ფართობის დაზუსტება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 10 აგვისტოს №5541397 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 10 აგვისტოს №5541397 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ღია ავტოსადგომის ფართობად დაფიქსირდეს 151.25 კვ.მ.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 10 აგვისტოს №5541397 ბრძანებით შეთანხმებული გენ - გეგმა, 0.00 ნიშნულისა და სახურავის გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გენ-გეგმით, 0.00 ნიშნულისა და სახურავის გასწორებული გეგმებით.

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 10 აგვისტოს №5541397 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 10 აგვისტოს №5541397 ბრძანებასთან ერთად.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი